დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის N15 სხდომისა და
წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N6 სხდომის გადაწყვეტილებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ატესტაციის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუთ წელზე მეტი ვადით არჩეული პროფესორის/პროფესორების ატესტაციის პირობებს და მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის $გ^1$ პუნქტის, 35-ე მუხლის 4^1 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე, მათი პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;
2. ატესტაციას ექვემდებარება ხუთ წელზე მეტი ვადით არჩეული ყველა პროფესორი, გარდა იმ პროფესორისა, ვინც პროფესორის თანამდებობაზე არჩეულია ხუთ წელზე მეტი ვადით, მაგრამ აღნიშნულ თანამდებობაზე არჩევიდან ხუთი წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების ხუთ წელზე ნაკლები ვადა;
3. ატესტაცია ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ. ხუთწლიანი ვადა აითვლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში“ ატესტაციასთან დაკავშირებული ცვლილებების ძალაში შესვლიდან და ვრცელდება იმ პროფესორებზე, რომელთაც აღნიშნულ ცვლილებამდე გაუფორმდათ შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები; ხოლო სხვა შემთხვევაში ხუთწლიანი ვადა აითვლება პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დღიდან.

მუხლი 2. საატესტაციო კომისია

1. ატესტაციას დაქვემდებარებულ პროფესორთა ატესტაციას ატარებს აკადემიური საბჭო. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური საბჭოს წევრი არის ატესტაციას დაქვემდებარებული პროფესორი, მისი საკითხის განხილვის დროს მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება;
2. ატესტაციას დაქვემდებარებულ პროფესორზე გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. ატესტაციის შესახებ გადაწყვეტილება ფორმულირდება შემდეგი სახით:
ა) პროფესორი აკმაყოფილებს ატესტაციისთვის დადგენილ პირობებს;
ბ) პროფესორი ვერ აკმაყოფილებს ატესტაციისთვის დადგენილ პირობებს.
3. ატესტაციის შედეგების საფუძველზე ხდება პროფესორის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება ან აკადემიურ თანამდებობაზე დარჩენა;
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ატესტაციის პროცესში მონაწილე პროფესორს ეცნობება ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 3. ატესტაციის ჩატარების პროცედურა

1. ატესტაციის დაწყების შესახებ გამოიცემა რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ატესტაციის პროცესი სრულდება ატესტაციის გამოცხადებიდან არა უგვიანეს ორი თვის ვადაში. ბრძანებაში მიეთითება ატესტაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და ვადები, ატესტაციის კრიტერიუმები და გასაჩივრების ვადები;

2. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ევალება აღნიშნული ბრძანების იმ პროფესორთათვის გაცნობა, რომელთაც ეხებათ ატესტაციის პროცესი.

მუხლი 4. პროფესორის საქმიანობის შეფასება

1. პროფესორთა ატესტაციის მიზნებისთვის მათ მიერ შესრულებული საქმიანობის ანგარიში მოიცავს ხუთწლიან პერიოდს ატესტაციის დაწყების თარიღამდე;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში განხორციელებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

2.1. პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც მოიცავს აკადემიური პროგრამით გათვალიწინებული სასწავლო და პრაქტიკული/ლაბორატორიული/ექსპერიმენტული/საველე და ა.შ.კომპონენტების განხორციელებას;

2.2. პუბლიკაცია*:

ა) სტატია საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში**;

ბ) სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში;

გ) სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში;

დ) მონოგრაფია/წიგნი;

ე) თავი წიგნში/კრებულში (საერთაშორისო გამოცემა);

ვ) თავი წიგნში/კრებულში (ადგილობრივი გამოცემა);

ზ) საერთაშორისო ბაზებში*** შემავალი მის მიერ შექმნილი საკონფერენციო მასალები;

თ) მის მიერ შექმნილი საკონფერენციო მასალები;

ი) სახელმძღვანელო;

კ) პროფესიული პუბლიკაცია ****;

ლ) ციფრული/ელექტრონული გამოცემები: სამეცნიერო/საგანმანათლებლო ელექტრონული პორტალი, მონაცემთა ბაზა, ტექსტური კორპუსი.

2.3. გრანტი: საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა და საგრანტო პროექტში მონაწილეობა;

2.4. საერთაშორისო კოლაბორაციის წევრობა;

2.5. ჯილდო;

2.6. პატენტი;

2.7. შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი; ექსპედიცია; გამოფენა; დიზაინი; საჯარო შესრულება (მუსიკის მიმართულებისთვის); პროგრამული უზრუნველყოფა;

2.8. ცოდნის ტრანსფერი:

ა) დაცული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
ბ) დაცული სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
გ) საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა;
დ) ადგილობრივი რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა;
ე) რეცენზირება საერთაშორისო პუბლიკაციებისთვის;

2.9. სოციალური იმპაქტის შესაფასებელი კრიტერიუმებია:

ა)საჯარო ლექციები/ბლოგები სხვადასხვა მედიასაშუალებაში;
ბ)საზაფხულო სკოლების ორგანიზება;
გ)საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება;
დ) სასერტიფიკატო პროგრამების/ტრენინგკურსების შექმნა, განხორციელება (LLL);

3. რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში პროფესორმა რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტების ნუსხა:
ა) თანხმობის განაცხადი რექტორისა და საატესტაციო კომისიის სახელზე ატესტაციაში მონაწილეობის შესახებ;
ბ) ამ წესის 2.1.-2.9. პუნქტებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შესრულებული საქმიანობის აღწერილობა დამადასტურებელი ინდიკატორების (მაგ.: ინტერნეტრესურსების მითითება, არგუსიდან კურსების ამონაწერი, სტატიები და ა. შ.) მითითებით.
4. ატესტაციაში მონაწილე პროფესორები პასუხისმგებლები არიან წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე;
5. პროფესორს, რომელიც რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს განაცხადსა და შევსებულ დოკუმენტებს ატესტაციაში მონაწილეობის შესახებ, გარდა ვადის საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევისა, შეუწყდება პროფესორის შრომითი ხელშეკრულება.

5. ატესტაციის შედეგები და აპელაცია

1. ამ წესის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით მიღებული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება პროფესორს შეუძლია გაასაჩივროს სამი სამუშაო დღის ვადაში რექტორის სახელზე განაცხადის გაკეთების გზით;
2. სააპელაციო განაცხადის საფუძველზე იქმნება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიმუმ სამწევრიანი სააპელაციო კომისია.

** ავტორის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ აფილიაციაში მითითებულია სხვა ინსტიტუცია, პუბლიკაცია ვერ იქნება გამოყენებული ავტორის კვლევითი შედეგების შეფასების მიზნებისთვის.*

*** სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებულ თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). საბუნებისმეტყველო, ზუსტი, საინჟინრო და მედიცინის მიმართულებისთვის სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული Thomson Reuters Web of Science-ის ბაზაში შემავალ*

0.5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ან Scopus - ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე ჟურნალში.

*** *Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue*

**** *პუბლიკაცია, რომელიც არ ითვალისწინებს რეცენზირებას, განკუთვნილია პროფესიული აუდიტორიისთვის და წარმოადგენს ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშს ან მის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზას. ასეთი პუბლიკაცია შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილ პროდუქტს.*